



ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს ხ ღ ო მ ი ს

ო ქ მ ი

11 იანვარს 2011წ.

ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია

მოსამართლე თამარ ონიანი
სხდომის მდივანი ანა ჩხიკვაძე

განიხილა მოსარჩელე ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“-ს სასარჩელო განცხადება მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის მიმართ, ქ. თბილისის მთავრობისათვის განცხადებით მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის გადაცემის დაგალების თაობაზე.

სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

მოსამართლე ხსნის მთავარ სხდომას და აცხადებს განსახილველ საქმეს.
სხდომის მდივანი სასამართლოს მოახსენებს:

სხდომაზე გამოცხადდნენ:

მოსარჩელე - ასოციაცია „მწვანე ალტერნატივა“ ს წარმომადგენლები: - ირმა მახათაძე; ნინო გუჯარაძე. (რწმუნებულება ერთვის საქმეს)

გამოცხადდა მოპასუხე - ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი სალომე ბარბაქაძე. (რწმუნებულება ერთვის საქმეს)

მოსამართლე, თანახმად სსსკ-ის 214-ე მუხლისა აცხადებს, რომ საქმეს იხილავს მოსამართლე თამარ ონიანი, ანა ჩხიკვაძის მდივნობით და განუმარტავს მხარეებს აცილების უფლების შესახებ.

მხარეებს მოსამართლის, სხდომის მდივნის მიმართ აცილება არ აქვთ.

მოსამართლე განუმარტავს მხარეებს სსსკ-ის 211-ე, 212-ე და 215-ე მუხლების შინაარსს და ეკითხება: ხომ არ გვაქვთ რაიმე შუამდგომლობა ან წარმოსადგენი სასამართლოს წინაშე?

მოსარჩელის წარმომადგენელმა წარმოადგინა 2010 წლის 14 მაისის ხელშეკრულების ასლი და წერილობითი ახსნა - განმარტება, რომელიც დაერთო საქმეს.
მოსამართლე აცხადებს, რომ სასამართლო გადადის ახსნა - განმარტების ეტაპზე.

მოსარჩელის წარმომადგენელი ნინო გუჯარაძე აქვეყნებს წერილობით ახსნა - განმარტებას და დამატებით განმარტავს: ეურადღება მინდა გავამახვილო მოპასუხის



შესაგებულზე, ვინაიდან იგი მიუთითებს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის 2-ე ნაწილის მესამე პუნქტზე, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას, კომერციულ საიდუმლოებად მიიჩნიოს ინფორმაცია, ხოლო ეს შესაძლებლობას, კომერციულ საიდუმლოებად წარმოადგენს ინფორმაცია, უკანასკნელი ადგენს, რომ კომერციულ საიდუმლოებას წარმოადგენს ინფორმაცია, კომერციული ფასეულობის მქონე ვეგმის, ფორმულის, პროცესის, საშუალების თაობაზე ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გამოიყენება საქონლის საწარმოებლად, ან ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც გადასამუშავებლად ან მომსახურების გასაწევად, ან რომელიც წარმოადგენს სიახლეს ან ტექნიკური შემოქმედების მნიშვნელოვან შედეგს. აგრეთვე წარმოადგენს ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს პირის სხვა ინფორმაცია, რომლის გამჟღავნებამ, შესაძლოა, ზიანი მიაყენოს პირის კონკურენტუნარიანობას. მოგახსენებთ, რომ აღნიშნული მუხლი, განსახილველ საქმესთან არანაირ კავშირში არ არის და შესაბამისად, არ უნდა იქნეს გათვალისწინებული. ვინაიდან, ხელშეკრულება არის ორმხრივი, ამიტომ ნებისმიერი საკითხი, რაც ხელშეკრულებას შეიძლება შეეხებოდეს, უნდა გადაწყდეს მხარეთა შეთანხმების შემდეგ. აგრეთვე, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27¹ მუხლი ითვალისწინებს, რომ პერსონალური მონაცემების პირად საიდუმლოებად მიჩნევის საკითხს, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, წყვეტს პირი, რომლის შესახებაც არსებობს ეს ინფორმაცია, რაც ამ კონკრეტულ შემთხვევაში გათვალისწინებული არ ყოფილა. ინფორმაციის კომერციულ საიდუმლოებად მიჩნევის საკითხთან დაკავშირებით, ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, კანონის სრული დაცვით. აგრეთვე, მოპასუხე თავის მიერ წარმოდგენილ შესაგებულში მიუთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებაზე, რომლითაც სასამართლო დადგენილად მიიჩნევს ხელშეკრულების 14.1 მუხლიდან გამომდინარე, რომ „ჯორჯიან გლობალ იუთილითი ლიმიტედმა“ კანონის ფარგლებში გვითხრა უარი ინფორმაციის გაცნობაზე. მოგახსენებთ, რომ აღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება ჯერ ძალაში არ არის შესული. აგრეთვე, მოგახსენებთ, რომ ის ინფორმაცია, რასაც ჩვენ მოპასუხისაგან ვითხოვდით, განთავსებულია საჯარო რეესტრის ვებ - გვერდზე. აქედან გამომდინარე, როგორ შეიძლება ერთი და იგივე ინფორმაცია იყოს საჯაროც და სასაიდუმლოებელიც, ეს ჩემთვის გაუგებარია. ჩვენ მარტო იმიტომ კი არ ვითხოვდით აღნიშნულ ინფორმაციას, რომ უბრალოდ გვაინტერესებდა, ჩვენი მოტივი, მხოლოდ და მხოლოდ არის ის, რომ გავიგოთ, ასრულებს თუ არა მხარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვითხოვ სარჩელის დაკმაყოფილებას.

მოსარჩელის წარმომადგენელი ირმა მახათაძე ახსნა-განმარტებაში განმარტავს: მოგახსენებთ, რომ ინფორმაცია, რომელსაც ჩვენ ვითხოვდით, კანონით დადგენილი წესით არ საჭიროებს სასაიდუმლოებას და რა საფუძველით გვეთქვა უარი ინფორმაციის გაცნობაზე, ეს გაუგებარია. აქედან გამომდინარე, ვთვლი, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის წარმომადგენელი სალომე ბარბაქაძე აქვეყნებს შესაგებულს და დამატებით განმარტავს: მოგახსენებთ, რომ ის ფაქტი თუ რამდენად კანონიერად იმსჯელა ადმინისტრაციულმა ორგანომ აქტის გამოცემის დროს, უკვე გამოიკვლია ორი ინსტანციის სასამართლო და მიიჩნია, რომ ჩვენი მხრიდან კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია. აქვე მოგახსენებთ იმასაც, რომ ჩვენ გადაწყვეტილება გამოგვაქვს, მაშინ, როდესაც, უარს ვუბნებით მხარეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე და არა პირიქით. ვითხოვ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს მისი უსაფუძველობის გამო. მოსამართლე აცხადებს, რომ დამთავრდა ახსნა-განმარტების ეტაპი და სასამართლო გადადის შეკითხვების ეტაპზე.



მოსარჩელის წარმომადგენლის შეკითხვაზე: თქვენ ამბობთ, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინფორმაცია ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზეა განთავსებული, მაინც გასაიდუმლოებულ ინფორმაციად რჩება?
მოპასუხის წარმომადგენელი პასუხობს: დიახ, ვინაიდან აღნიშნული ფაქტი მოხდა დაუდევრობის გამო.

მოსარჩელის წარმომადგენლის შეკითხვაზე: რით ადასტურებთ, რომ ნამდვილად დაუდევრობის გამო მოხდა?
მოპასუხის წარმომადგენელი პასუხობს: ეს ჩემი მტკიცების ტვირთი არ არის.

მოსარჩელის წარმომადგენლის შეკითხვაზე: გასაიდუმლოებულ ინფორმაციას მიეკუთვნება თუ არა, ხელშეკრულებაში არსებული ინფორმაცია გარემოს შესახებ?
მოპასუხის წარმომადგენელი პასუხობს: დიახ, ხელშეკრულება მთლიანად არის გასაიდუმლოებული ინფორმაციის შემცველი.

მოსარჩელის წარმომადგენლის შეკითხვაზე: 2008 წლის 14 მაისის ხელშეკრულება, როგორც აღნიშნეთ, გასაიდუმლოებულია, მაინტერესებს აღნიშნული ხელშეკრულების წინარე ხელშეკრულებაც გასაიდუმლოებულია?
მოპასუხის წარმომადგენელი პასუხობს: დიახ.

მოსამართლის შეკითხვაზე: 2010 წლის 9 ივლისის გადაწყვეტილებაში რა იყო თქვენი სასარჩელო მოთხოვნა?
მოსარჩელის წარმომადგენელი პასუხობს: ვითხოვდით ხელშეკრულების გადმოცემას, თავისი დანართებით.

მოსამართლის შეკითხვაზე: თქვენი აზრით, აღნიშნული ხელშეკრულების ყველა პუნქტი საჯარო უნდა იყოს?
მოსარჩელის წარმომადგენელი პასუხობს: თუ ეს ასე არ არის, მაშინ საჯარო რეესტრის ვებ-გვერდზე რატომ დევს, ეს ხომ ორი ურთიერთგამომრიცხავი გარემოებაა.

მოსამართლის შეკითხვაზე: როგორ მოხვდა აღნიშნული ინფორმაცია საჯარო რეესტრის საიტზე?
მოპასუხის წარმომადგენელი პასუხობს: ეს როგორც ჩვენთვის ცნობილია, არის საჯარო რეესტრის დაუდევრობის შედეგი და არ ცვლის აღნიშნული ინფორმაციის სტატუსს, ვინაიდან, აღნიშნული ინფორმაცია ისევ გასაიდუმლოებულ ინფორმაციად რჩება.

სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 207-ე, 284-285-ე მუხლებით და ადგილზე თათბირით დაადგინა:

1. განსახილველ საქმეზე გამოცხადდეს შესვენება და მომდევნო სასამართლო სხდომა დაინიშნოს 2011 წლის 31 იანვარს 12:00 საათზე.
2. საოქმო განჩინება არ საჩივრდება.

სხდომა დაიხურა 16:40 საათზე

მოსამართლე

სხდომის მდივანი



თამარ ონიანი

ანა ჩხიკვაძე

Handwritten notes at the bottom of the page: 'ქ. ი. ივანიშვილი' and '18.01.2011'.